

ქართული ორიგინალური ჰაგიოგრაფია

იაკობ ხუცესი

წამებად წმიდისა შუშანიკისი დედოფლისად

ტექსტები გამოსაცემად მოამზადეს და სამეცნიერო-კრიტიკული აპარატი
დაურთეს ნ. მრევლიშვილმა, ს. გულიაშვილმა და თ. ჯიქურაშვილმა

I₁



საქართველოს უნივერსიტეტის
ბ ა მ ო მ ც ე მ ლ ო ბ ა

Georgian Original Hagiography

Iakob Khutsesi

The Martyrdom of Saint Queen Shushanik

The texts were edited, equipped with a critical apparatus and supplemented with
a research by N. Mrevlishvili, S. Guliashvili, T. Jikurashvili

I₁

2024

იაკობ ხუცესი

წამებად წმიდისა შუშანიკისი დედოფლისად

Iakob Khutsesi

The Martyrdom of Saint Queen Shushanik

პროექტი განხორციელდა საქართველოს უნივერსიტეტის თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტში.

პროექტის ხელმძღვანელი და გამოცემის რედაქტორი – **ნ. მრეგლიშვილი**

რეცენზენტი – **ქ. დათუკიშვილი**

ტექნიკური რედაქტორი – **ნ. სუარიძე**

რუკის შემდგენელი – **კ. თოფურია, მ. სანაძე**

სარედაქციო საბჭოს ხელმძღვანელი – **მ. სანაძე**

სარედაქციო საბჭო:

ნ. მრეგლიშვილი

ს. გულიაშვილი

თ. ჭიჭურაშვილი

ყველა უფლება დაცულია.

© საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა 2024

© The University of Georgia Publishing House 2024

საქართველოს უნივერსიტეტი, თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი

The University of Georgia, Tamaz Beradze Institute of Georgian Studies

თბილისი 0171, მერაბ კოსტავას ქუჩა #77ა

ug@ug.edu.ge; www.ug.edu.ge

ISBN: 978-9941-9897-5-9

სარჩევი

წინათქმა	9
შესავალი	11
თავი I – ხელნაწერები, რედაქციები, გამოცემები, წყაროები	17
შუშანიკის წამების ხელნაწერები (თ. ჯიქურაშვილი)	19
შუშანიკის წამების რედაქციები (ნ. მრევლიშვილი)	27
შუშანიკის წამების გამოცემები (რ. სტურუა)	41
შუშანიკის წამება უძველეს წერილობით წყაროებსა და წარწერებში (ნ. მრევლიშვილი)	43
თავი II – ტექსტები	47
ქართული ვრცელი რედაქცია – ტექსტისთვის (თ. ჯიქურაშვილი)	49
ქართული ვრცელი რედაქცია	56
სომხური ვრცელი რედაქცია და მისი ქართული თარგმანი	57
სომხური და ქართული მოკლე რედაქციები	142
შუშანიკის წამების სვინაქსარული რედაქციები	146
შუშანიკის წამების ანტონ კათალიკოსისეული რედაქცია	153
შუშანიკის წამების იოანე ბატონიშვილისეული რედაქცია	177
შუშანიკისა და ვარსკენის შესახებ თხრობა ქართველთა ცხოვრებაში	197
ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა	198
უხტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან	199
თავი III – თარგმანები	203
შუშანიკის წამების თარგმანები	205
შუშანიკის წამების ინგლისური თარგმანი – ტექსტისთვის (თ. ბერუაშვილი)	207
<i>The Martyrdom of Saint Queen Shushanik</i>	225
თავი IV – ისტორიულ-ფილოლოგიური კვლევა	235
თხზულების ავტორი (ნ. მრევლიშვილი)	237
თხზულების დაწერის თარიღი (ნ. მრევლიშვილი)	245
ისტორიული ეპოქა (მ. სანაძე)	247
შუშანიკის წამების გეოგრაფია (ბ. ხორავა, რ. სტურუა)	281

ნაწარმოების სტრუქტურულ-კომპოზიციური თავისებურება (ნ. მრევლიშვილი)	289
მთავარი პერსონაჟები (ნ. მრევლიშვილი)	294
შუშანიკი	294
შუშანიკის სახელი	294
შუშანიკის წარმომავლობა	295
ცნობები წმინდა შუშანიკის დაკრძალვის ადგილის შესახებ	298
ვარსკენი და განვითარებული კონფლიქტი	309
არამთავარი პერსონაჟები (ს. გულიაშვილი)	316
ნაწარმოების ენობრივი თავისებურებანი (თ. ჯიქურაშვილი)	330
ბიბლიური ციტატები და პერიფრაზები <i>შუშანიკის წამებაში</i>	340
ქრისტიანული ღვთისმსახურების საკითხები თხზულებაში (ნ. მრევლიშვილი)	341
საღვთისმსახურო დანიშნულების შენობა-ნაგებობები და მცირე არქიტექტურული ფორმები <i>შუშანიკის წამებაში</i> (ნ. მრევლიშვილი)	349
სამოხელეო ტერმინები და სოციალური ფენები ადრეფეოდალურ ქართლში <i>შუშანიკის წამების</i> მიხედვით (ს. გულიაშვილი)	355
მეხუთე საუკუნის ქართლის ეთნოგრაფიული სურათი <i>შუშანიკის წამების</i> მიხედვით (ს. გულიაშვილი)	367
წმინდა შუშანიკის გამოსახულებები ქართულ საეკლესიო ხელოვნებაში (ნ. ბურჭულაძე)	385
XX საუკუნის 70-80-იანი წლების <i>შუშანიკის წამების</i> ვიზუალიზაციის მხატვრულ-ისტორიული კონტექსტი (ნ. ჩიხლაძე)	429
ზოგიერთი ფრაზის განმარტებისათვის	465
„კაცისა ვისამე წმიდისა ვანად მისრულ იყო“ (ნ. მრევლიშვილი)	465
„წმიდანი იგი წიგნნი მოწამეთანი“ თუ „წმიდანი იგი ნაწილნი მოწამეთანი“ (ნ. მრევლიშვილი)	471
„დედათა ბუნებაჲ იწრო არს“ (თ. ჯიქურაშვილი)	480
ლექსიკონი (ნ. მრევლიშვილი, თ. ჯიქურაშვილი, რ. სტურუა)	487
რეზიუმე (ნ. მრევლიშვილი)	541
Summary (N. Mrevlishvili)	562
ბიბლიოგრაფია (ს. გულიაშვილი)	582
სახელთა საძიებელი	635
დანართები	655
ხელნაწერთა ფოტოპირები – A 95; A 130	657
რუკა – ქართლის სამეფო და ვარსკენის საგამგებლო 468-484 წწ. (კ. თოფურია, მ. სანაძე)	693

Table of Contents

Introduction	9
Preface	11
Chapter I – Manuscripts, Redactions, Editions, Sources	17
Manuscripts of <i>The Martyrdom of Saint Queen Shushanik</i> (T. Jikurashvili)	19
Redactions of <i>The Martyrdom of Saint Queen Shushanik</i> (N. Mrevlishvili)	27
Editions of <i>The Martyrdom of Saint Queen Shushanik</i> (R. Sturua)	41
<i>The Martyrdom of Saint Queen Shushanik</i> in the oldest sources and inscriptions (N. Mrevlishvili)	43
Chapter II – Texts	47
The Long Georgian Redaction – Editon Principles (T. Jikurashvili)	49
The Long Georgian Redaction	56
The Long Armenian Redaction and its Georgian translation	57
Armenian and Georgian short redactions	142
<i>The Martyrdom of Saint Queen Shushanik</i> in Synaxarion	146
The Redaction of Anton the First	153
The Redaction of Ioane Batonishvili	177
The Story of Shushanik and Varsken in the <i>Georgian Chronicles</i>	197
Vakhushhti Batonishvili, <i>Description of the Kingdom of Georgia</i>	198
Ukhtanesi, <i>The History of the Seperation of Georgians from Armenians</i>	199
Chapter III – Translations	203
Translations of <i>The Martyrdom of Saint Queen Shushanik</i>	205
The English Translation of <i>The Martyrdom of Saint Queen</i> <i>Shushanik</i> – Translation Technique (T. Beruashvili)	207
<i>The Martyrdom of Saint Queen Shushanik</i>	225
Chapter IV – Historical and Philological Research	235
The Authorship of the Narration (N. Mrevlishvili)	237
The Date of the Narration (N. Mrevlishvili)	245
Historical Era (M. Sanadze)	247

Geography in <i>The Martyrdom of Saint Queen Shushanik</i> (B. Khorava, R. Sturua)	281
The Structural-Compositional Characteristics of the text (N. Mrevlishvili)	289
Main Characters (N. Mrevlishvili)	294
Shushanik	294
Shushanik's Name	294
Shushanik's Ethnicity	295
Witnesses on the Burial Place of Saint Shushanik	298
Varsken and the Developed Conflict	309
The Secondary Characters (S. Guliashvili)	316
Linguistic Characteristics of the Narration (T. Jikurashvili)	330
Biblical Quotations in <i>The Martyrdom of Saint Queen Shushanik</i>	340
The Issues of the Christian Religious Service in the Text (N. Mrevlishvili)	341
Liturgical Structures and Small Architectural Forms (N. Mrevlishvili)	349
Terminology Related to Administration and Social Classes in Early Feudal Kartli (S. Guliashvili)	355
Exploring the Ethnographic Landscape of 5th-Century Kartli (S. Guliashvili)	367
Images of Saint Shushanik in Georgian Iconography (N. Burchuladze)	385
Modern Georgian Artists' Attitude Towards <i>The Martyrdom of Saint Queen Shushanik</i> (N. Chikhladze)	429
Commentaries on Some Phrases	465
“He had gone on a visit to a holy man” (N. Mrevlishvili)	465
“Holy books of martyrs” or “holy relics of martyrs” (N. Mrevlishvili)	471
“Women's mind is sensitive” (T. Jikurashvili)	480
Vocabulary (N. Mrevlishvili, T. Jikurashvili, R. Sturua)	487
Summary in Georgian (N. Mrevlishvili)	541
Summary in English (N. Mrevlishvili)	562
Bibliography (S. Guliashvili)	582
Index of the Proper Names	635
Additions	655
Photocopies of the Manuscripts – A 95, A 130	657
Map – The Kingdom of Kartli and Varsken's Domain in 468-484 (K. Topuria, M. Sanadze)	693

წინათქმა

სერიით – *ქართული ორიგინალური ჰაგიოგრაფია* – ვიწყებთ გამოცემას ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლების კრიტიკულად დადგენილი ტექსტებისა, რომლებსაც დართული ექნება ვრცელი სამეცნიერო აპარატი.

ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლების სრული სამეცნიერო-კრიტიკული გამოცემა სახელწოდებით – *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, განხორციელდა ჯერ კიდევ 1963-1968 წლებში კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (მაშინდელ – ხელნაწერთა ინსტიტუტში) ილია აბულაძის ხელმძღვანელობით. ეს მეტად ღირებული და მაღალი აკადემიზმით შესრულებული ნაშრომი გამოიცა ექვს ტომად (2020 წელს ფოტოტიპურად გამოიცა I-II ტომი). პირველ ტომში წარმოდგენილია V-X, მეორე ტომში – XI-XV საუკუნეების ჰაგიოგრაფიული ძეგლები, მესამე ტომი ეთმობა XI-XIII საუკუნეების მეტაფრასულ რედაქციებს, მეოთხე ტომში დაბეჭდილია XI-XVIII საუკუნეების სვინაქსარული რედაქციები, მეხუთე ტომში შესულია XVIII ს.-ის ქართული ორიგინალური ჰაგიოგრაფიის ნიმუშები, ხოლო მეექვსე ტომში დაბეჭდილია ანტონ I-ის *მარტირიკა*, ამ კორპუსის გამოცემა მეტად მნიშვნელოვანი სიახლე იყო ქართული კულტურით დაინტერესებული მთელი სამეცნიერო (და არა მხოლოდ) საზოგადოებისათვის, რამდენადაც:

1. თუ არ გავითვალისწინებთ ცალკეული თხზულებების გამოცემებს, კრიტიკულად დადგენილი ტექსტების იმგვარი კორპუსი, რომელიც ერთად მოუყრიდა თავს ორიგინალურ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებს, მანამდე არ არსებობდა.
2. ტექსტების დადგენისას გათვალისწინებულია ყველა არსებული ხელნაწერი, რიგ შემთხვევებში გამოყენებულია არსებული გამოცემებიც.
3. დაძეგნილია ბიბლიური ციტაციის პირველწყაროები.

ამდენად, გამომცემელთა მიზანი ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ტექსტების კრიტიკული გამოცემისა, მაღალი აკრიბიით განხორციელდა. მაგრამ, რა თქმა უნდა, ამგვარი კოლოსალური შრომის დროს ყველაფრის გათვალისწინება შეუძლებელი იყო: გამოცემას არ ახლავს ისტორიულ-ფილოლოგიური კვლევები.

4. არ არის გათვალისწინებული მეტაფრასული (ანტონისეული, იოანე ბატონიშვილისეული) რედაქციები.
5. ტექსტებს არ ახლავს ლექსიკონები (მოგვიანებით, 1973 წელს გამოიცა ი. აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონი, რომელიც აგებულია ძველი ქართული მწერლობის მხოლოდ გარკვეული ძეგლების მასალაზე (აბულაძე, 1973, გვ. 05-07)), თუმცა, ვფიქრობთ, ებოქის ენობრივ-სტილური მახასიათებლებისა და ავტორისეული ინდივიდუალიზმის გათვალისწინებისათვის უპრიანია ლექსიკონი დართული ჰქონდეს ყველა ტექსტს.

6. გამოცემას არ აქვს საძიებლები და არსებული სამეცნიერო კვლევების ბიბლიოგრაფიები.

2005 წელს ე. ჭელიძემ გამოსცა ორიგინალური ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლების კრიტიკულად დადგენილი ტექსტები სახელწოდებით *ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა*. ამ პუბლიკაციის შესწორებული ვარიანტი გამოიცა 2008 წელს (2014 წელს მკვლევარმა გამოსცა კიდევ ერთი ნაშრომი, რომელშიც წარმოდგენილია მხოლოდ იაკობ ხუცესის *შუშანიკის წამება*). 2005/2008 წლების გამოცემებში წარმოდგენილია ხუთი თხზულება: *მარტვილობა წმინდა შუშანიკ დედოფლისა, მარტვილობა წმინდა ეგსტათი მცხეთელისა, მარტვილობა წმინდა აბო თბილელისა, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა*. ტექსტები დადგენილია კრიტიკულად ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით და ახლავს ვრცელი ტექსტობრივ-საღვთისმეტყველო სქოლიოები, თუმცა, ეს გამოცემაც არ არის სრული, არ ითვალისწინებს ძველი ქართული ორიგინალური ჰაგიოგრაფიის ყველა ძეგლს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, დღის წესრიგში დადგა ორიგინალური ჰაგიოგრაფიული ძეგლების ხელახალი გამოცემის საკითხი, რომელიც გაითვალისწინებდა პრაქტიკაში თავჩენილ მოთხოვნებს.

ჩვენი მიზანია:

1. გამოვცეთ ორიგინალური ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლების სრული კორპუსი – ტექსტები, დადგენილი ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვითა და არსებული გამოცემების გათვალისწინებით.
2. ერთად მოვუყაროთ თავი კონკრეტული თხზულების ადრინდელ, გვიანდელ, მეტაფრასულ და სვინაქსარულ რედაქციებს.
3. მოგკრიბოთ სხვა წერილობით წყაროებში – წარწერებში, ისტორიულ ძეგლებში დაცული ცნობები.
4. თხზულებებს დავურთოთ ვრცელი ისტორიულ-ფილოლოგიური და ტექსტოლოგიური კვლევები, რომლებიც გაითვალისწინებს, აგრეთვე, წლების განმავლობაში სამეცნიერო სივრცეში დაგროვილ ნაშრომებსაც.
5. ტექსტებს დავურთოთ დოკუმენტირებული ლექსიკონები და საძიებლები.
6. გამოცემას დავურთოთ ვრცელი, შეძლებისდაგვარად სრული ბიბლიოგრაფია.
7. დანართის სახით წარმოვადგინოთ ძირითად ხელნაწერთა ფოტოკოპიები და სხვა ილუსტრაციები.

შესავალი

ქართული ორიგინალური ჰაგიოგრაფიული ძეგლების კორპუსის გამოცემას ვიწყებთ იაკობ ხუცესის მარტიროლოგიური ძეგლით, *წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ, რომელიც არის პირველი სრულად მოღწეული ძეგლი ორიგინალური ქართული მწერლობისა*. ძეგლის მეცნიერულ კვლევას მრავალწლიანი ისტორია აქვს.

თერთმეტი ხელნაწერით ჩვენამდე მოღწეული *შუშანიკის წამება* არაერთგზის გამოიცა. მისი პირველი გამოცემა ეკუთვნის მ. საბინინს (1882 წ.). თუმცა ტექსტი არ არის კრიტიკულად დადგენილი და მასში მნიშვნელოვანი ხარვეზებია, მაგრამ ამ გამოცემის როლი თხზულების კვლევის საქმეში მეტად მნიშვნელოვანია. ტექსტის კრიტიკული გამოცემები ეკუთვნის **ს. გორგაძეს**, 1917 წ., გამოიცა ოთხი ხელნაწერის მიხედვით; **ი. აბულაძეს**, 1938 წ. (განმეორებით – 1978 წ.), გამოიცა რვა ხელნაწერის მიხედვით, 1968 წ. – ყველა, თერთმეტივე ხელნაწერის მიხედვით; **ე. ჭელიძეს**, 2005 წ. (განმეორებით – 2015 წ.), გამოიცა ყველა ხელნაწერის მიხედვით. ამას გარდა, არაკრიტიკული, მაგრამ საყურადღებოა 1979 წელს ც. ქურციკიძის რედაქტორობით დაბეჭდილი გამოცემა და 1990 წელს ე. გაბიაშვილის რედაქტორობით ზ. სარჯველაძისა და ე. გიუნაშვილის მიერ გამოცემული ტექსტები (ვრცლად იხ. თავი *შუშანიკის წამების* გამოცემები).

იაკობ ხუცესის *შუშანიკის წამების* მეცნიერული შესწავლის დასაწყისშივე კვლევა-ძიება სხვადასხვა საკითხის ირგვლივ წარიმართა. იმ დროიდან დღემდე შესწავლის პროცესი არ შეწყვეტილა და მრავალ მნიშვნელოვან შეკითხვას გაეცა პასუხი. ყურადღება, უპირველესად, მიექცა ისეთი საკვანძო საკითხების შესწავლას, როგორებიცაა:

საისტორიო წყაროები და ხელნაწერები (საბინინი, 1882; ჯანაშვილი, 1906; ჯავახიშვილი, 1926, 1945; პეტერსი, 1935; კეკელიძე, 1960, 1980; ჯანაშია, 1962, 1980; ლორთქიფანიძე, 1966; ალექსიძე, 1968, 1985; ესბროკი, 1971; პაპუაშვილი, 1973; მენაბდე, 1978; სანაძე, 2019 და სხვ.).

შუშანიკის წამების შესწავლის ისტორია (ნაცვლიშვილი, 2012; მანია, 2012 სხვ.).

თხზულების ავტორი, თხზულებაში ასახულ მოვლენათა ქრონოლოგია და დაწერის თარიღის დაზუსტება (ჟორდანია, 1892; ჯანაშვილი, 1906; გორგაძე, 1917; პეტერსი, 1935; ჯავახიშვილი, 1945; ამირანაშვილი, 1958; გაბიაშვილი, 1968; გაბაშვილი, 1978; ონიანი, 1978; კეკელიძე, 1980; გვახარია, 1981; იოსელიანი, 1991; ჩხარტიშვილი, 1991; ხურცილავა, 2001; კარიჭაშვილი, 2002-2003 და სხვ.).

ტექსტის ჟანრობრივი კუთვნილების განსაზღვრა (პეტერსი, 1935; ინგოროყვა, 1939; ბარამიძე, 1957, 1978, 1980; ჭელიძე, 1976, 1997; ჭილაძე, 1977, 1978; გაბაშვილი, 1978; გიგინეიშვილი, 1978, 2009; ონიანი, 1978; ხინთიბიძე, 1978, 1982; კეკელიძე, 1980; ჯანაშია, 1980; ფარულავა, 1982; დოიაშვილი, ბრეგაძე, 1986; გიგინეიშვილი, მენაბდე, სირაძე, 1986; სირაძე, 1987; გრიგოლაშვილი, 1989; გოჩელაშვილი, 1990, 1991; ცაიშვილი, 1990; გაბიაშვილი, 1990; დარჩია, 2000; სულავა, 2020 და სხვ.).

ტექსტოლოგიური პრობლემები (ქურციკიძე, 1979, ჩხეიძე, 1978, ბურჭულაძე, 2003; ჭელიძე, 2005, ხურცილავა, 2006, კილანავა, 2009 და სხვ.); **ქართულ და სომხურ რედაქციათა ურთიერთმიმართების დადგენა** (ჯავახიშვილი, 1926, 1945; პეტერსი, 1935; აბულაძე, 1938, 1968; ტერ-დავითიანი, ჯანაშია, 1975; კილანავა, 1978; ფარულავა, 1978; კეკელიძე, 1980 და სხვ.); **ტექსტის დასაწყისის პრობლემა** (გორგაძე, 1917; ონიანი, 1978; კეკელიძე, 1980; ბარამიძე, 1997; მეტრეველი, 2000; გრიგალაშვილი, 2006; კუჭუხიძე, 2007; მრევლიშვილი, 2012 და სხვ.).

თხზულების ენობრივი თავისებურებები (იმნაიშვილი, 1970; სარჯველაძე, დანელია, 1999 და სხვ.).

თხზულებაში აღწერილ მოვლენათა ისტორიული და სოციალური გარემო (ლორთქიფანიძე, 1966; ანდრონიკაშვილი, 1966; გაბაშვილი, 1978; პაპუაშვილი, 1978; ჩანტლაძე, 1978; ალექსიძე, 1985; გოილაძე, 1986; ჯანაშია, 1988; სარჯველაძე, 1988; ხურცილავა, 2001; კილანავა, 2009; სანაძე, 2016, 2019 და სხვ.).

თხზულების ისტორიული გეოგრაფია (გორგაძე, 1917; ყაუხჩიშვილი, 1934; აბულაძე, 1963; გაბიძაშვილი, ქავთარია, 1980; ჯანაშია, 1980; სარჯველაძე, 1990; სანაძე, 2019 და სხვ.).

მხატვრულ-ესთეტიკური და ქრისტიანული ღვთისმსახურების სახისმეტყველებითი საკითხები (ფარულავა, 1973, 1983; გიგინეიშვილი, 1978; ზარიძე, 1978; სირაძე, 1982, 1987, 2001, 2005; ცაიშვილი, 1990; გოგუაძე, 1993; მეტრეველი, 2008; ელაშვილი, 2002; წერეთელი, 2005; სულავა, 2007; რუხაძე, 2007; დგვევაძე, 2005; გრიგოლაშვილი, 2012; ჩიკვაძე, 2012 და სხვ.).

ტექსტის სიუჟეტურ-კომპოზიციური ანალიზი (აბულაძე, 1938; თავდიშვილი, 2006; მრევლიშვილი, 2012 და სხვ.).

ქართული ფოლკლორის, წარმართული კულტურისა და ქართული ზეპირ-სიტყვიერების მიმართებები შუშანიკის წამებასთან (გორგაძე, 1927; სოზაშვილი, ბარამიძე, აფციაური, კანდელაკი, 1981; ჯაფარიძე, 2001; ხურცილავა, 2006; სპარსიაშვილი, 2006; ქისტაური, 2012; გარაყანიძე, 2018 და სხვ.).

ყოფა-ცხოვრებითი და ეთნოგრაფიული საკითხები (ჯავახიშვილი, 1962; ლომთათიძე, 1973; ჭანტურიშვილი, 1978; ნადარეიშვილი, 1978; გაბიძაშვილი, 1990; ბარამიძე, 1992; ბეთხოშვილი, 2010 და სხვ.).

მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და პერსონაჟთა ხატვის სპეციფიკა (გიგინეიშვილი, ფარულავა, სირაძე, გაბიძაშვილი, ზარიძე, 1978; ბრეგაძე, 1980; ცაიშვილი, 1990; მაცხოვრეშვილი, 1996; ტრაპაძე, 2004; წერეთელი, 2005; ლეთოდიანი, 2012; კუჭუხიძე, 2016 და სხვ.).

თხზულების ბიბლიის ტექსტთან მიმართების საკითხი (ქურციკიძე, 1964; გიგინეიშვილი, 1978; დანელია, 1982; გოგუაძე, დანელია, 1986; კილანავა, 1990; ტყემელაშვილი, 1998; ბარამიძე, 2002; გრიგალაშვილი, 2002-2003; ჭელიძე, 2005; მოსია, 2011; ბრეგაძე, 2011; Outtier, 2020 და სხვ.).

თხზულების თარგმანები (ეგაძე, 1983; მესხი, 1988; მენაბდე, 1992; მაცხოვნაშვილი, 1997; გოგიბერიძე, 2003; მენაბდე, 2012; ბარბაქაძე, 2018; კონიაშვილი, 2021; ბერუაშვილი, 2024 და სხვ.).

ამგვარად, უძველესი ქართული ლიტერატურული ძეგლის შესწავლის საქმეში იმთავითვე კვლევა არაერთი მიმართულებით წარიმართა და განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა იმ ლიტერატურული კონტექსტებისა და კონტაქტების შესწავლამ, რომელთა ფონზე V საუკუნის ქართული მწერლობა ფორმირდებოდა (ხინთიბიძე, 1982, გვ. 155-163).

პირველი სრულად მოღწეული მარტიროლოგიური თხზულების, *შუშანიკის წამების*, ხელახალი გამოცემა მიზნად ისახავს არამარტო თერთმეტივე ხელნაწერის მიხედვით დადგენილი ტექსტის პუბლიკაციას, არამედ აქამდე არსებული კრიტიკული გამოცემების გათვალისწინებასაც. გარდა *შუშანიკის წამების* ვრცელი ქართული რედაქციისა, წიგნში თავმოყრილია ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში დაცული ყველა ტექსტი, რომლებიც მოგვითხრობს მოწამე დედოფლის ან მისი მეუღლის ცხოვრების შესახებ. ასეთებია: **მეტაფრასული რედაქციები** – ანტონ კათალიკოსის, იოანე ბატონიშვილისა და XIX საუკუნის ჰაგიოგრაფიულ კრებულში დაცული (იოანე ბატონიშვილის რედაქციის გადამუშავებული ვერსია) ტექსტები *შუშანიკის წამებისა* (გვიანდელ, მეტაფრასულ რედაქციებს ცალკეც ვაქვეყნებთ ყველა სრულად მოღწეული ხელნაწერის გათვალისწინებით, სამეცნიერო-კრიტიკული აპარატისა და ხელნაწერთა ფოტობირების დართვით); *შუშანიკის წამების ვრცელი სომხური რედაქცია* და მისი **ქართული, ილია აბულაძისეული თარგმანი, სომხური მოკლე რედაქცია, ქართული მოკლე რედაქცია, ფრაგმენტი ქართველთა ცხოვრებიდან**, სომხურ წყაროებში (ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან) დაცული **უხტანესის ცნობა** წმინდა შუშანიკის შესახებ და მისი ქართული, ზაზა ალექსიძისეული თარგმანი, **სვინაქსარული რედაქციები**. გამოცემას დართული აქვს დოკუმენტირებული ლექსიკონი. ამას გარდა, პუბლიკაციაში წარმოდგენილია *შუშანიკის წამების* ინგლისური თარგმანის ჩვენეული ვერსია, რომელიც ითვალისწინებს დღემდე არსებულ თარგმანებსაც. ტექსტების პუბლიკაციას უძღვის ხელნაწერთა აღწერილობანი, მსჯელობა ნაწარმოების რედაქციებსა და გამოცემებზე; პუბლიკაციაში წარმოდგენილია ვრცელი ისტორიულ-ფილოლოგიური კვლევა ქართული მწერლობის ამ უმნიშვნელოვანესი ძეგლის შესახებ. დეტალურად ვსაუბრობთ წმინდა შუშანიკის გამოსახულებებზე ძველსა და ახალ ქართულ ხელოვნებაში. გამოცემას ახლავს რეზიუმეები ქართულ და ინგლისურ ენებზე, სახელთა საძიებელი და ბიბლიოგრაფია, აგრეთვე უძველესი ხელნაწერების – A 95 და A 130 – ფოტობირები და სხვა ილუსტრაციები.

აღნიშნული პუბლიკაცია წარმოადგენს სერიის – *ქართული ორიგინალური ჰაგიოგრაფია* I ტომის პირველ ნაწილს (I₁). I ტომის მეორე ნაწილში (I₂), როგორც შევნიშნეთ, წარმოდგენილი იქნება *შუშანიკის წამების* გვიანდელი რედაქციები სამეცნიერო კრიტიკული აპარატისა და ძირითად ხელნაწერთა ფოტობირების დართვით, ხოლო II ტომის მესამე ნაწილში (I₃) შევეცადეთ შეძლებისდაგვარად თავი

მოგვეყარა სამეცნიერო სივრცეში არსებული ნაშრომებისათვის, რომლებიც ეხება *შუშანიკის წამებას*, დამოუკიდებლად იმისა, ვიზიარებთ თუ არა ნაშრომის ავტორის პოზიციას. წიგნის ფორმატიდან გამომდინარე, ცხადია, ყველა ნაშრომის პუბლიკაცია ვერ ხერხდება. შევეცადეთ ვრცელი ნაშრომებიდან წარმოგვედგინა მასალა იმგვარად, რომ მკითხველს სრული წარმოდგენა შექმნოდა ტექსტის კვლევასთან დაკავშირებულ ძირითად პრობლემატიკაზე. ამას გარდა, დაინტერესებული მკითხველისათვის ადვილად ხელმისაწვდომი გაგვეხადა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული სტატიები თუ ახალი სამეცნიერო კვლევები.

პროექტი განხორციელდა საქართველოს უნივერსიტეტის თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ.

ტექსტების კრიტიკულად დადგენაზე მუშაობდნენ:

ნ. მრეგლიშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს უნივერსიტეტის თ. ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ენისა და ლიტერატურის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

თ. ჯიქურაშვილი, თ. ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი.

რ. სტურუა, თბილისის სასულიერო აკადემიის თეოლოგიის ფაკულტეტის დოქტორანტი, საქართველოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკარი.

ისტორიულ-ფილოლოგიურ საკითხებზე მუშაობდნენ:

მ. სანაძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს უნივერსიტეტის თ. ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი – ისტორიული ეპოქა.

ს. გულიაშვილი, საქართველოს უნივერსიტეტის თ. ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი – **შესავალი** (ნ. მრეგლიშვილთან ერთად), **სამოხელეო ტერმინები და სოციალური ფენები ადრეფეოდალურ ქართლში შუშანიკის წამების მიხედვით; მეხუთე საუკუნის ქართლის ეთნოგრაფიული სურათი შუშანიკის წამების მიხედვით; არამთავარი ბერსონაჟები**. მანვე შეადგინა ვრცელი **ბიბლიოგრაფია**, რომელიც, გარდა კვლევისას გამოყენებული ნაშრომებისა, შეიცავს აგრეთვე *შუშანიკის წამების* შესახებ არსებული სხვა პუბლიკაციების დასახელებებსაც.

ნ. მრეგლიშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს უნივერსიტეტის თ. ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ენისა და ლიტერატურის დეპარტამენტის ხელმძღვანელი – **შესავალი** (ს. გულიაშვილთან ერთად), **თხზულების ავტორი; თხზულების დაწერის თარიღი; შუშანიკის წამება უძველეს წერილობით**

წყაროებსა და წარწერებში; ტექსტის რედაქციები – ქართული გრცელი რედაქციის საკითხი; ნაწარმოების სტრუქტურულ-კომპოზიციური თავისებურება, მთავარი პერსონაჟები – შუშანიკის პერსონაჟი; წმინდა შუშანიკის დაკრძალვის ადგილი; ვარსკენი და განვითარებული კონფლიქტი; შუშანიკის შვილები; ქრისტიანული ღვთისმსახურების საკითხები თხზულებაში; საღვთისმსახურო დანიშნულების შენობა-ნაგებობები; „კაცისა ვისამე წმიდისა ვანად მისრულ იყო...“ „წმიდანი იგი წიგნნი მოწამეთანი“ თუ „წმიდანი იგი ნაწილნი მოწამეთანი“; ლექსიკონი (თ. ჯიქურაშვილთან და რ. სტურუასთან ერთად), რეზიუმე.

თ. ჯიქურაშვილი, საქართველოს უნივერსიტეტის თ. ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი – *შუშანიკის წამების ხელნაწერები*; ნაწარმოების ენობრივი თავისებურებანი; ანთროპონიმების გადმოცემისათვის შუშანიკის წამებაში; „დედათა ბუნება იწრო არს“; ლექსიკონი (ნ. მრევლიშვილთან და რ. სტურუასთან ერთად).

რ. სტურუა, თბილისის სასულიერო აკადემიის თეოლოგიის ფაკულტეტის დოქტორანტი, საქართველოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკარი – *შუშანიკის წამების გეოგრაფია* (ბ. ხორავასთან ერთად); *შუშანიკის წამების გამოცემები*; ლექსიკონი (ნ. მრევლიშვილთან და თ. ჯიქურაშვილთან ერთად).

ნ. ბურჭულაძე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს უნივერსიტეტის თ. ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი – *წმინდა შუშანიკის გამოსახულებები ქართულ ხელოვნებაში*.

ნ. ჩიხლაძე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს უნივერსიტეტის თ. ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – *მეოცე საუკუნის 70-80-იანი წლების შუშანიკის წამების ვიზუალიზაციის მხატვრულ-ისტორიული კონტექსტი*.

ალ. ჭულუხაძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს უნივერსიტეტის თ. ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი – *უცხოენოვანი ლექსიკა და ანთროპონიმები*, რომლებიც შევიდა ლექსიკონში.

შუშანიკის წამების ინგლისური თარგმანი და ამ თარგმანის წინასიტყვაობა ეკუთვნის **თ. ბერუაშვილს**. მანვე იმუშავა *სახელთა საძიებლის* შედგენაზე.

პროექტის განხორციელებაში საკუთარი წვლილი შეიტანეს, აგრეთვე, ქართველოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლებმა:

ლ. გაშაყმაძემ, საქართველოს უნივერსიტეტის თ. ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელმა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტმა.

საქართველოს უნივერსიტეტის თ. ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტებმა: **მ. ალავერდაშვილმა**, **თ. ღორაშვილმა** და **ა. ხუროშვილმა**.

მადლობას ვუხდით თანამშრომლობისათვის რეცენზენტს, ფილოლოგიის